

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030413545312614

04-160/ო

04 / ივნისი / 2014 წ.

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობებით“ (დანართი 1) გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე” სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 02 მაისის 04-130/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობებით“ (დანართი №1) გათვალისწინებული საკითხების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით ზოგიერთი ღონისძიების თაობაზე სააგენტოს დირექტორის 2014 წლის 02 მაისის №04-130/ო ბრძანებაში შევიდეს ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №2 (მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრში და კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში პირის ჩარიცხვა/ამორიცხვის შესახებ მისაღები გადაწყვეტილების ფორმა) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით;

ბ) ბრძანებას დაემატოს მე-2¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:


"2¹. სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2014 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N291 დადგენილებით დამტკიცებული „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის" ფარგლებში, სააგენტოს მეურვეობა-მზრუნველობისა და სოციალური პროგრამების დეპარტამენტის მეურვეობისა და მზრუნველობის სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომელს – ევგენია ჯავახიშვილს „დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში“ (დეს) ჩაერთოს გარკვეული უფლებები, ამავე სამმართველოს შტატგარეშე თანამშრომლებზე – თამარ ზოჭორიშვილსა და ია მგელაძეზე კორესპონდენციის გადანაწილების მიზნით".

2. სააგენტოს ადმინისტრაციულმა დეპარტამენტმა (გ. გოგოლაძე) უზრუნველყოს:

ა) წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში დასახელებული პირებისათვის გაცნობა;

ბ) წინამდებარე ბრძანებისა და ამავე ბრძანებით გათვალისწინებული ფორმის განთავსება სააგენტოს ვებ-გვერდზე: ssa.gov.ge.

3. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელ 



გაიოზ თალაკვაძე

-- / ----- / ----წ.

გადაწყვეტილება

(მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში დღის ცენტრში და/ან კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში არასრულწლოვანი _____ ჩარიცხვის/ამორიცხვის შესახებ)

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს უფროსმა სოციალურმა მუშაკმა, _____ წლის _____ ანკეტის საფუძველზე, განიხილა საქმე არასრულწლოვანი – _____ (პირობითი მონაცემები: _____ /იდენტიფიცირებული მონაცემები: _____) მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში _____ ჩარიცხვის/ამორიცხვის შესახებ.

იგი მიუსაფარ ბავშვად იდენტიფიცირებულია _____ წლის _____ ანკეტით და მიზანშეწონილია მან ისარგებლოს _____ მომსახურებით.

ვიხელმძღვანელებ, საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2010 წლის 26 თებერვლის 52/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსებისა და ამ დაწესებულებიდან მისი გაყვანის წესი და პირობების“ (დანართი 1) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტით და

გადაწყვეტიტე:

1. არასრულწლოვანი – _____ ჩარიცხოს/ამორიცხოს მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედ _____.

2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული საჩივრით სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოში (ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. 144), ან სასარჩელო განცხადებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, 6), გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი თვის ვადაში.

უფროსი სოციალური მუშაკი

/ _____ /